

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 23 ივლისის სხდომის

ოქმი #6

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 23 ივლისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 38 წევრი, სხდომას ესწრებოდა 27 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თამარ ჭელიძე და გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ცვლილება ფაკულტეტის საატესტაციო კომისიაში;
2. პროგრამული ცვლილებები;
3. პომერანის უნივერსიტეტის (სლუცკი, პოლონეთი) რექტორის, პროფესორ ზბიგნევ ოსადოვსკის თსუ საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენა;
4. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - ცვლილება ფაკულტეტის საატესტაციო კომისიაში. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ასოცირებულ პროფესორ თამარ ჭელიძეს. ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ახალი დეკანის არჩევასთან დაკავშირებით საჭიროა შესაბამისი ცვლილება შევიდეს ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა ა. შენგელაიამ, თ. ლეჟავამ, ნ. კოტრიკაძემ. მათ თ. ჭელიძემ განუმარტა, რომ საატესტაციო კომისიის ფუნქციას წარმოადგენს ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის ხარისხების მინიჭება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფაკულტეტის ახალი დეკანის პ. ბაბილუას კომისიაში შეყვანის საკითხს, წინა დეკანის რ. ხომერიკის ნაცვლად. კომისიის სხვა წევრები არ შეიცვლება.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის შემადგენლობა შემდეგი ცვლილებით - კომისიის წევრი გახდეს პეტრე ბაბილუა ნაცვლად რამაზ ხომერიკისა.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - პროგრამული ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. ცვლილებები შეეხო შემდეგ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს: „ქიმია“, „კომპიუტერული მეცნიერება (ქართულენოვანი)“, „კომპიუტერული მეცნიერება (ფრანგულ-ქართული)“, „კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)“. სახელდობრ, დაფიქსირდა სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, დაემატა არჩევითი საგნები, განახლდა ზოგიერთი სილაბუსი, დაზუსტდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელი და სხვა (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვას: კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამებთან დაკავშირებულ ცვლილებებზე კომენტარი გააკეთა პროფესორმა მ. ხაჩიძემ. აზრი გამოთქვას პროფესორებმა ა. შენგელაიამ, დ. ძიძიგურმა, ო. ფურთუხიამ, გ. ღვედაშვილმა, ნ. შათაშვილმა და ი. ხუციშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი პროგრამული ცვლილებების შესახებ ქიმიისა და კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართი 1).

კენჭისყრის შედეგები: პროგრამული ცვლილებები დამტკიცებულია ერთხმად.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - პომერანის უნივერსიტეტის (სლუცკი, პოლონეთი) რექტორის, პროფესორ ზბიგნევ ოსადოვსკის თსუ საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენა. საკითხის შესახებ მასალები საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ. მან საბჭოს წევრებს გააცნო პროფესორ ზბიგნევ ოსადოვსკის მიღწევები გარემოს დაცვის, გეობოტანიკის, პალეობოტანიკის, წყალჭარბი ეკოსისტემების რესტორაციის, ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირების მიმართულებით ბიოლოგიურ მეცნიერებებში, ასევე ისაუბრა მისი, როგორც უნივერსიტეტის რექტორის თანამშრომლობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა მ. ხაჩიძემ, ა. შენგელაიამ, ი. ხუციშვილმა, გ. სირბილაძემ, დ. ძიძიგურმა, ნ. დორეულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი პომერანის უნივერსიტეტის (სლუცკი, პოლონეთი) რექტორის, პროფესორ ზბიგნევ ოსადოვსკის თსუ საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენასთან დაკავშირებით თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე შუამდგომლობის დაყენების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 1, საბჭოს დანარჩენმა წევრებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ წარადგინოს შუამდგომლობა თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე პომერანის უნივერსიტეტის (სლუცკი, პოლონეთი) რექტორის, პროფესორ ზბიგნევ ოსადოვსკის თსუ საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენასთან დაკავშირებით.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე - მიმდინარე საკითხები. ამ ნაწილში წარმოდგენილი იყო:

ა) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემის სათაურებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება;

ბ) ზოგიერთ საფაკულტეტო სტრუქტურულ ერთეულში - ინსტიტუტებში ახალი თანამშრომლების მიღება.

ა) **მოისმინეს:** ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტებისათვის სადოქტორო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ საბჭოს წევრებს ინფორმაცია წარუდგინა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ. ტრაპაიძემ. საკითხის შესახებ მასალები საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოთვლილ დოქტორანტთა სადისერტაციო თემები და ხელმძღვანელები:

➤ **ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**

1. პავლე წოწკოლაური

სადისერტაციო თემა: ATLAS ექსპერიმენტის ტაილ კალორიმეტრის ფარდობითი კვანტური ეფექტურობის გაზომვის ახალი ტექნიკური მეთოდის შემუშავება;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: თსუ პროფესორი გიორგი ღვედაშვილი და დოქტორი ფაბრიციო სკური, ბირთვული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის მთავარი მკვლევარი, პიზა, იტალია.

➤ **ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**

1. პოპიაშვილი მაკა

სადისერტაციო თემა: ახალი ინდოლემემცველი ჰეტეროციკლური სისტემები, მათი სინთეზის ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდების შემუშავება და მათ საფუძველზე ახალი ტიპის პოტენციური ორგანული ლუმინოფორების მიღება;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: თსუ პროფესორი იოსებ ჩიკვაძე, თსუ ასისტენტ პროფესორი ელენე კაცაძე.

2. კაკალაშვილი ლიზი

სადისერტაციო თემა: იზომერული ინდოლოინდოლების სინთეზის ახალი მეთოდები;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: თსუ პროფესორი იოსებ ჩიკვაძე, თსუ ასისტენტ პროფესორი მარინა ტრაპაიძე.

3. ტაბატამე თამარ

სადისერტაციო თემა: მულტიკომპონენტური რეაქციებით იზოციანიდების საფუძველზე ადამანტანის ბირთვის შემცველი ახალი ნაერთების სინთეზი და კვლევა;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მეცნიერ-მკვლევარი თინა ბუკია (თსუ ორგანული ქიმიის ინსტიტუტი), ქიმიის დოქტორი.

4. სურმანიძე დავით

სადისერტაციო თემა: მეტალორგანული და პოლიმერიზაციული სინთეზური მეთოდებით თალიუმ-ფუმიანი ზეგამტარი მასალების მიღება და კვლევა;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქიმიის დოქტორი თეა ლობჯანიძე.

5. ონაშვილი ქეთევან

სადისერტაციო თემა: ნიტროზო ჯგუფის შემცველი N-გლიკოზილამინების სინთეზი და კვლევა;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: თსუ პროფესორი რამაზ გახოკიძე, თსუ ასოცირებული პროფესორი ნელი სიდამონიძე, ქიმიის დოქტორი რუსუდან ვარდიაშვილი.

6. სამარგულიანი ლევან

სადისერტაციო თემა: აზოტისა და სილიციუმის შემცველი მონოსაქარიდების წარმოებულების სინთეზი და კვლევა;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: თსუ პროფესორი რამაზ გახოკიძე, თსუ ასოცირებული პროფესორი ნელი სიდამონიძე, ქიმიის დოქტორი რუსუდან ვარდიაშვილი.

7. გელოვანი თამარ

სადისერტაციო თემა: N-გლიკოზილამინების წარმოებულების სინთეზი და კვლევა;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: თსუ პროფესორი რამაზ გახოკიძე, თსუ ასოცირებული პროფესორი ნელი სიდამონიძე, ქიმიის დოქტორი რუსუდან ვარდიაშვილი.

8. ღლონტი გიორგი

სადისერტაციო თემა: ზოგიერთი ჯიშის ყურძნის ბიოლოგიურად აქტიურ ფენოლურ ნაერთთა ცვალებადობა და მათი ტრანსფორმაცია ყურძნიდან ღვინოში;

სამეცნიერო ხელმძღვანელები: თსუ პროფესორი რამაზ გახოკიძე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი მარინა ბეჟუაშვილი.

9. არჩვაძე მარიამ

სადისერტაციო თემა: β,N-(ბენზოკაინ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-β-D-გლუკოპირანო-ზილამინის წარმოებულების სინთეზი და სავარაუდო ბიოლოგიური აქტიურობის პროგნოზი;

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ პროფესორი რამაზ გახოკიძე.

10. ნებიერიძე ანა

სადისერტაციო თემა: ადამანტანის შემცველი მონოსაქარიდების წარმოებულების სინთეზი და კვლევა;
სამეცნიერო ხელმძღვანელები: თსუ პროფესორი რამაზ გახოკიძე, ქიმიის დოქტორი რუსუდან ვარდიაშვილი.

11. დიაკონიძე მიხეილ

სადისერტაციო თემა: N-Si ბმის შემცველი ნახშირწყლების წარმოებულების სინთეზი და კვლევა სინთეზი;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ პროფესორი რამაზ გახოკიძე, ქიმიის დოქტორი რუსუდან ვარდიაშვილი.

12. ლონდარიძე ლევან

სადისერტაციო თემა: ახალი კომპოზიციური მასალები მცენარეული ნედლეულისა და ტრიეთილსილილირებული სტიროლის ბაზაზე;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქიმიის დოქტორი ელზა მარქარაშვილი.

13. კვინიკაძე ნიკოლოზ

სადისერტაციო თემა: ნანოკომპოზიტები ბუნებრივი შემავსებლის და ეკოლოგიურად სუფთა შემაკავშირებლების საფუძველზე;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი თამარ თათრიშვილი.

14. ძეგისაშვილი ნათელა

სადისერტაციო თემა: ორგანული პოლიმერული მყარი ნარჩენებისგან ახალი სორბენტების მიღება, კვლევა და მათი გამოყენების შესაძლებლობის დადგენა;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი თამარ თათრიშვილი.

15. ჩიხლაძე შოთა

სადისერტაციო თემა: კომპოზიციური მასალები ბუნებრივი ნედლეულის და ორგანულ/არაორგანული შემკვრელების საფუძველზე;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი თამარ თათრიშვილი.

16. თიკანაძე ირმა

სადისერტაციო თემა: წყლით ინდუცირებული ელექტრული პერკოლაციის პროცესის შესწავლა შერეულ შებრუნებულ მიკროემულსიებში;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა რუხაძე.

17. ნანობაშვილი ქეთევანი

სადისერტაციო თემა: ტემპერატურით ინდუცირებული ელექტრული პერკოლაციის პროცესზე განსხვავებული ბუნების დანამატების გავლენის შესწავლა ნატრიუმის ბის(2-ეთილ ჰექსილ) სულფოსუქცინატის შებრუნებულ მიკროემულსიებში;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა რუხაძე.

18. შხარულიშვილი ნათია

სადისერტაციო თემა: ტეტრაეთილენგლიკოლის მონოდოდეცილის ეთერის შებრუნებული მიკროემულსიების მიკროგარემოს შესწავლა მოლეკულური სინჯის მეთილნარინჯის გამოყენებით;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა რუხაძე.

19. კერკენჯია სალომე

სადისერტაციო თემა: ცილების და ცილოვანი კომპლექსების ურთიერთქმედებების შესწავლა თვითაგრეგირებად ანსამბლებთან;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა რუხაძე.

20. ქადაგიშვილი სალომე

სადისერტაციო თემა: შებრუნებული მიკროემულსიების და მათი შესაბამისი გელების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა რუხაძე.

21. ბედელაძე ბექა

სადისერტაციო თემა: ნანოზომის ნაწილაკების სინთეზი შებრუნებულ მიკროემულსიებში: წყლის წვეთებში არსებული დანამატების გავლენა;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა რუხაძე.

22. პაპუაშვილი ნათია

სადისერტაციო თემა: ზეთი წყალში მიკროემულსიებიდან 2-ქლორ-10-(3-დიმეთილამინოპროპილ) ფენოთიაზინის ჰიდროქლორიდის გამოთავისუფლების შესწავლა;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინა რუხაძე.

23. ჯალაღანია სოფიო

სადისერტაციო თემა: ადსორბენტების მომზადება საქართველოს ბუნებრივი რესურსებიდან და მათი შესწავლა თერმული წყლებიდან გოგირდწყალბადის ადსორბციაში;
სამეცნიერო ხელმძღვანელები: თსუ ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ლალი ახალბედაშვილი;

24. ჯაშიაშვილი ქეთევან

სადისერტაციო თემა: ზოგიერთი ახალი ქირალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების ენანტიოსელექტიური ანალიზის მეთოდის დამუშავება სითხური ქრომატოგრაფი-მას სპექტრომეტრიის გამოყენებით;
ხელმძღვანელები: თსუ პროფესორი ბექან ჭანკვეტაძე, ქიმიის დოქტორი მალხაზ ჯოხაძე.

25. ცქიტიშვილი სოფო

სადისერტაციო თემა: ეფექტური და ეკონომიური კომბინირებული ადსორბენტები CO₂ -ის ჩასაჭერად, მეორადი ნედლეულისა და ადგილობრივი ცეოლითის ბაზაზე;
ხელმძღვანელი: თსუ რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის დოქტორი ნათელა ანანიაშვილი.

26. ბენაშვილი არჩილ

სადისერტაციო თემა: გარდამავალ ლითონთა ოქსიდების შემცველი საელექტროდე მასალების შემუშავება ფსევდო სუპერკონდენსატორებისთვის;
ხელმძღვანელი: თსუ რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმიის დოქტორი ნიკოლოზ ნიორაძე.

ბ) ზოგიერთ საფაკულტეტო სტრუქტურულ ერთეულში - ს/კ ინსტიტუტში ახალი თანამშრომლების მიღება. აღნიშნული საკითხის შესახებ საბჭოს წევრებს ინფორმაცია წარუდგინა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ. ტრაპაიძემ. საკითხის შესახებ მასალები საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საფაკულტეტო სტრუქტურულ ერთეულებში - გამოთვლითი ფიზიკის, ნახევარგამტართა ფიზიკის, ბიოეფექტური ტექნოლოგიების ფუნდამენტური კვლევებისა და ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ცვლილების / თანამშრომელთა მიღების (ანაზღაურების გარეშე) საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: წინადადება დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზოგიერთ საფაკულტეტო სტრუქტურულ ერთეულში - ს/კ ინსტიტუტში ცვლილებები / ახალი თანამშრომლების მიღება (ანაზღაურების გარეშე):

- გამოთვლითი ფიზიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში შეიქმნას ახალი - გამოყენებითი ელექტროდინამიკის ინოვაციური მიმართულების შემსწავლელი განყოფილება. განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნოს დოქტორი გივი თალაკვაძე (ანაზღაურების გარეშე);
- ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში გაუქმდეს „მომავლის მასალების მიღების და კვლევის“ განყოფილება. გაუქმებული განყოფილების თანამშრომლები გადანაწილდნენ შემდეგ განყოფილებებში:
 1. ნახევარგამტართა მასალათმცოდნეობის,
 2. IV-VI ნახევარგამტართა კვლევის, და
 3. ინოვაციური პროექტების განყოფილებებში.
- ბიოეფექტური ტექნოლოგიების ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე (ანაზღაურების გარეშე) მიღებულ იქნეს დოქტორი გივი სულაქველიძე;
- ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-მკვლევარის პოზიციაზე (ანაზღაურების გარეშე) მიღებულ იქნას ჟურნალის „Journal of Chromatography Open“ (Elsevier, Amsterdam, Netherlands) მთავარი რედაქტორი, დოქტორი სალვატორე ფანალი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი

